



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
**GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE
 BODY**



მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ო კ მ ი N18

ქ. მარნეული

13.10.2017 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები: - ნაბი აბდულაევი, ამირან გიორგაძე, ვანო ბურნაძე, ნიკოლოზ გოგოჭური, რიჩარდ გიგანი, კოტე ბოჭოიძე, რაფიკ მუსაევი, ვალი ისმაილოვი, აბიდ ოსმანოვი, რამიზ გიულმამედოვი, გივი ქველაძე, არსენ ახვერდიანი, სულეიმან ხალილოვი, მაილ მიქიევი, მამედ მამედოვი, ელხან მუფტიევი, სადრადინ ტალიბოვი, რაფიკ ჯაფაროვი

არ ესწრებოდა:

- ვალერი მეტრეველი, ირაკლი ბურნაძე, ლერი მუმლაძე, ქამილ ალიევი, ზურაბ ჭონიაშვილი, ისმაილ ბაირამოვი, ლევონ აკოპიანი, აგილ მუსტაფაევი, რაგიმ ასკეროვი, რუსტამ ფაშაევი, ბესიკ გუჯეჯიანი, აიდა ხაჩიკიანი, მახირ იუსუბოვი, აგილ ფაშაევი.

სხდომას ესწრებოდა

- მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი ზაურ ტაბატაძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო – საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ვუგარ მამედოვი, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ბერიძე.

პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლები: „TV-მარნეული“-ს წარმომადგენლები.

განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:

დღის წესრიგის დამტკიცებამდე, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა ზაურ ტაბატაძემ ითხოვა განსახილველ საკითხთა დღის წესრიგს დაემატოს ერთი საკითხი: მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 12 ოქტომბრის N4326-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ, რასაც საკრებულოს წევრები დაეთანხმნენ და საკრებულოს დღის წესრიგი ჩამოყალიბდა შემდეგი სახით:

1. მარნეულის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი მარნეულის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი აღზრდის ცენტრი“-ს 2017 წლის 12 ოქტომბრის N185 წერილის განხილვის შესახებ.
3. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი მარნეულის მუნიციპალიტეტის „კულტურის ცენტრი“-ს 2017 წლის კორექტირებული ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ.
4. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 12 ოქტომბრის N4326-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.

განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები:

1. დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვუგარ მამედოვმა, საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 იანვრის N1 დადგენილებაში შესატანი ცვლილების პროექტი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია დადგენილება N31. 13.10.2017 წ)

2. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ საკრებულოს წევრებს, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 12 ოქტომბრის N03/11787 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს საფუძველზე, სთხოვა თანხმობა, რათა დამტკიცდეს ა.ა.ი.პ. მარნეულის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი აღზრდის ცენტრი“-ს 2017 წლის კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა და საშტატო განრიგი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N87. 13.10.2017 წ).

3. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ საკრებულოს წევრებს, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 05 ოქტომბრის N03/11515 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს საფუძველზე, სთხოვა თანხმობა, რათა დამტკიცდეს ა.ა.ი.პ. მარნეულის მუნიციპალიტეტის „კულტურის ცენტრი“-ს 2017 წლის კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N88. 13.10.2017 წ)

4. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ საკრებულოს წევრებს, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 13 ოქტომბრის N03/11811 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 12 ოქტომბრის N4326-03 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, სთხოვა თანხმობა, რათა დამტკიცდეს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „მეზობელთა კავშირი“-ს ქალაქ მარნეულში, რუსთაველის ქუჩა N39-ში მდებარე კორპუსზე მისაკუთვნიებული მიწის ნაკვეთის ფართი და საზღვრები შ.პ.ს. „არქიტექტურა“-ს მიერ შესრულებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზზე მითითებული ფართისა და კოორდინატების შესაბამისად (მიწის ნაკვეთის ფართი - 1441 კვ.მ. განაშენიანების ფართი შენობა - 01/2-576 კვ.მ).

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N89. 13.10.2017 წ)

საკრებულოს თავმჯდომარემ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის მეთვრამეტე სხდომა გამოაცხადა დახურულად.

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე:

ნაზი აბდულაევი